



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თავაძე გიორგი ფერდინანდის ძე

თავაძე გიორგი ფერდინანდის ძე (დ. 6. XII. 1945, თბილისი), მეტალურგი. საქართველო. მეცნი. ეროვნული აკად. წ.-კორ. (2009), ტექ. მეცნი. დოქტორი (1995), პროფესორი (2002). 1967 დაამთავრა სპი-ის მეტალურგიის ფაკ-ტი, ლითონმცოდნეობისა და ლითონების თერმული დამუშავების სპეციალობით. 1967 მუშაობა დაიწყო საქართველო. მეცნი. აკად. მეტალურგიის ინ-ტში (ახლანდ. ფ. თავაძის სახ. მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინ-ტი). 1992-2004 მუშაობდა საქართველო. თავდაცვის სამინისტროს ტექ. სამმართველოს უფროსად; 1998-2002 - საქართველო. შეიარაღებული ძალების გენ. შტაბის სტრატეგიული დაგეგმარებისა და სამეცნი.-ტექ. კვლევების მთ. სამმართველოს უფროსად. 2002-04 იყო საქართველო. თავდაცვის სამინისტროს კვლევებისა და ტექნოლოგიების ცენტრის უფროსი, 1997-2005 კი - NATO-ს კვლევებისა და ტექნოლოგიების ორგანიზაციისა და სახმელეთო შეიარაღების ჯგუფის ეროვნ. კოორდინატორი. 2005 აირჩიეს საქართველო. საინჟ. აკად. ნამდვილ წევრად. 2006 ამერიკის ბიოგრაფიული საზ-ბის მმართველ რედაქტორთა საბჭომ მიანიჭა მასალათმცოდნეობის ექსპერტის წოდება. 2006-იდან მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინ-ტის დირექტორია.

თ-ის სამეცნი. კვლევის მიმართულებებია: ამორფული და წვრილკრისტალური მასალების მიღება; ლითონური ნალღობიდან ზესწრაფი წრთობით თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის (თმს) ტექნოლოგიით A-15 ტიპის ლითონური და მაღალტემპერატურული კერამ. ზეგამტარი მასალების მიღება; თმს ტექნოლოგიით ბორისა და მისი ნაერთების მიღება და კვლევა. არის საქართველო. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1988). მინიჭებული აქვს პოლკოვნიკის წოდება და (1996) დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით. 2013 მიენიჭა გიორგი ნიკოლაძის პრემია.

обд.: Получение специальных материалов методами самораспространяющегося высокотемпературного синтеза, Тб., 2011 (обдддд. А.С. Штепнберг).
